12 ნოემბერს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

„დინამო“ (თბილისი) – „დინამო“ (კიევი) 1:2 (0:0)

თბილისი: გაბელია (ჭანტურია, 73), კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, სვანაძე, რევიშვილი, ცვეიბა, სულაქველიძე (არზიანი, 46), კაკილაშვილი, გურული, შენგელია.

კიევი: ანოვი, შმატოვალენკო, ევსეევი, გორილი, დემიანენკო, რაცი, იაკოვენკო, ბალი, მიხაილიჩენკო, ბელანოვი, ბლოხინი (ევტუშენკო, 72).

მსაჯი ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვა).

კიეველი და თბილისელი ფეხბურთელები სულ ახლახან, რამდენიმე დღის უკან შეხვდნენ ერთმანეთს კიევში, ახლა კი თამაში ჩვენს სტადიონზე გაიმართა. ძნელი ამოსაცნობია, რომელია მათგანი პირველი და რომელი მეორე წრის შეხვედრა. ჩვენი ჩემპიონატის კალენდრის უწესრიგობამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ორივე წრის შეხვედრათა ჩატარება გვიხდება ზედიზედ, და ეს მაშინ, როცა ჩემპიონატის დამთავრებას მხოლოდ ერთი ტური უკლია.

ორივე გუნდი წლევანდელ საკავშირო გათამაშებაში ფრიად წარუმატებლად გამოდის. თბილისის დინამოელთა საქმე ყველას კარგად მოგეხსენებათ. ჩვენმა გუნდმა მხოლოდ ჩემპიონატის ფინიშზე შეძლო საქმის გამოსწორება ისე, რომ დაბლა ლიგაში არ ჩამოქვეითებულიყო, მაგრამ წლეულს არც მის კიეველ თანაკლუბელებს გამოუჩენიათ დიდად თავი. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდმა ფრიად დაბალ დონეზე ითამაშა. საკმარისია ითქვას, რომ აგვისტოდან მოყოლებული კიეველებს სულ ორიოდე გამარჯვება აქვთ მოპოვებული. საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი ფავორიტი სისტემატურად აგებდა შინაც და სტუმრადაც.

თბილისისა და კიევის დინამოელები არც ამ მატჩში გამოირჩეოდნენ მაღალი კლასით, ბრძოლისუნარიანობით ან გამარჯვებისადმი სწრაფვით. ტაიმი ისე დასრულდა, რომ არსებითად, არც ერთ კართან არ შექმნილა რამდენადმე მაინც საინტერესო მომენტი. ორიოდე შორეული დარტყმა აცდა მიზანს. თამაშის თვალის დევნება ტრიბუნიდან შეიძლებოდა მშვიდად, აუღელვებლად.

მიმდინარეობდა მატჩის 55-ე წუთი, როცა კიეველი იაკოვენკო მეტოქეებთან ბრძოლისას წაიქცა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე. არბიტრმა ი. ტიმოშენკომ ამ შემთხვევაში 11-მეტრიანი მიიჩნია, თუმცა არა გვგონია, ამ დარღვევის გამო საჭირო იყო ასეთი უკიდურესი სასჯელის გამოტანა. ყოველ შემთხვევაში, სულ ორი წუთის შემდეგ კიეველთა კარის სიახლოვეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დარღვევა მოხდა. მსაჯმა კი ამ შემთხვევაში პენალტის დანიშვნისგან თავი შეიკავა. ასეა თუ ისე, 11-მეტრიანი დაინიშნა. ბელანოვმა ზუსტად დაარტყა მიზანში - 1:0.

62-ე წუთზე კიეველებმა სწრაფი საიერიშო კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ზუსტი, ძლიერი დარტყმით დაამთავრა მიხაილიჩენკომ 2:0. კიეველმა ფეხბურთელმა ამ ეპიზოდში შესანიშნავად ითამაშა.

64-ე წუთზე თავიანთ საჯარიმო მოედანზე კიეველებმა კვლავ უხეშად ითამაშეს. ამჯერად პენალტი დაინიშნა. გურულის დარტყმას მეკარე ჩანოვმა ვერ მიუსწრო - 1:2.

მასპინძლები შემდეგაც ხშირად და სახიფათოდ უტევდნენ, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა. თბილისის დინამოელები კვლავ დამარცხდნენ კიეველ თანაკლუბელებთან.

"ლელო" 14.11.1987